



01 ოქტომბერი, 2011 წელი

პრესრელიზი

“პურის ფესტივალი” სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

2011 წლის 01 ოქტომბერს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ქ. ახალციხეში ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია “ელკანა” ატარებს “პურის ფესტივალს”. ღონისძიება სოფლის ტურიზმის პროექტის ფარგლებში იმართება და მიზნად ისახავს რეგიონის აგროტურისტული ინფრასტრუქტურის საზოგადოებისათვის გაცნობას და ტრადიციული პროდუქტის, მათ შორის ადგილობრივი პურისა და ხორბლის პოპულარიზაციას. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება რეგიონში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და აგროტურისტული მეურნეობების ქსელი, ადგილობრივი ტრადიციული პროდუქტი და ტურისტული შეთავაზებები. ცალკე სტენდი დაეთმობა ადგილობრივ ქართულ ხორბალსა და პურს, დაჯილდოვებულ ახალციხური წითელი დოლისპურის¹ მწარმოებელი წარმატებული ფერმერები და საოჯახო სასტუმრო სახლების მფლობელები.

ფესტივალზე გაიმართება სხვადასხვა ადგილობრივი პროდუქტის დეგუსტაცია, ეთნოგრაფიული ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა და კონცერტი ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით.

ეფიქრობთ, “პურის ფესტივალი” ხელს შეუწყობს რეგიონის პოპულარიზაციას, ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების წარმოჩენასა და წახალისებას.

ფესტივალის ძირითადი დამფინანსებელია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC), თანადამფინანსებლები: EED, Misereor (გერმანია), OxfamNovib (ნიდერლანდები), HEKS/EPER (შვეიცარია), BaSeFood (ევროკომისია).

ფესტივალის მხარდამჭერია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული სააგენტო და ახალციხის მუნიციპალიტეტი.

ღონისძიება გაიმართება 2011 წლის 1 ოქტომბერს; დასაწყისი 13:00 საათზე მისამართი: ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქუჩა.

¹2009–2010 – ახალციხის (მეხური) წითელი დოლისპურის საწარმოო მნიშვნელობის განვითარება და გასაღების ჯაჭვის შექმნა დაფინანსდა BP-სა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების - BTC და SCP, მიერ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მეშვეობით; ახალციხის (მეხური) წითელი დოლის პურის აღდგენა და პირველადი სათესლე მასალის გაერცელება 2001–2009 წლებში დაფინანსდა GEF/UNDP, EED, Misereor, Oxfam Novib, Cordaid-ის მიერ.

ფესტივალის პროგრამა

13:00	ფესტივალის გახსნა
13:40-19:00	<p>ადგილობრივი პროდუქტის გამოფენა/გაყიდვა/დაგემოვნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა ჯიშის, მათ შორის წითელი დოლის ხორბალი და გამომცხვარი პური • ჩენილი და ტენილი ყველი • ბიში, ქადა, ჭირიხტა, ხაჭაპური • ძველი ქართული პარკოსანი კულტურებისაგან დამზადებული კერძები • ყველის/ხორცის ხინკალი, მწვადი • ბაქმაზი, თაფლი, ხილი, ჩირები, ტყლაპები, მურაბები • ლუდი • ადგილობრივი სამკურნალო მცენარეები <p>ადგილობრივი ხელნაკეთი ნაწარმის გამოფენა/გაყიდვა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვაზე და ხეზე კვეთა • თექა, ფარდაგებისა და ხალიჩების ქსოვა • გიდელეები • მონასტრებში დამზადებული პროდუქტი • ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები • თიხის ჭურჭლის მოხატვა <p>აგროტურისტული ფოტოგამოფენა წარმოდგენილი აგროტურისტული ინფრასტრუქტურა:</p> <ul style="list-style-type: none"> • საოჯახო სასტუმრო სახლები • აგროტურისტული მეურნეობები <p>ხორბლის უძველესი სახეობების, პურის ცხობის ტრადიციების ფოტო გამოფენა</p> <p>სამცხე-ჯავახეთის კულტურული და ბუნებრივი ძეგლების ფოტო გამოფენა</p> <p>თეატრალური წარმოდგენა და სხვა სანახაობები</p>
14:00-17:00	კონცერტი ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით
15:00-15:15	წარმატებული ფერმერების, საოჯახო სასტუმრო სახლების მფლობელთა დაჯილდოება
17:00	ფესტივალის დახურვა

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდებზე: www.elkana.org.ge; www.ruraltourism.ge